



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოდო

მოდო, ძველი ებრაული საწყაო. ფართოდ იყო გავრცელებული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ქართ. წერილობით წყაროებში დამოწმებულია გიორგი ათონელის თხზულებაში „ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი“ (XI ს.). მ. იხსენიება „ათონის აღაპებსა“ და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში XIII ს-მდე. მოგვიანებით დას. საქართველოში იხმარებოდა მიწის სარგებლობისათვის (ე. წ. „სამოდო მიწა“) დაწესებული გადასახადის („მოდო“) აღსანიშნავად და მოსავლის მეათედით განისაზღვრებოდა. ს.-ს. ორბელიანთან მ-ის შესატყვისია ჩანახი. უდრიდა დაახლ. 8 კგ.

ლიტ.: ს ო ს ე ლ ი ა ო ., მასალები აგრარული ურთიერთობის ისტორიისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1954, ნაკვ. 31; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.), თბ., 1973.

გ. ჯაფარიძე
